ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7474139

ნომერი: AR11089584

თარიღი : 02.05.2025

გაცემის თარიღი : 10.05.2025

გაცნობის თარიღი : 12.05.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზაჰესი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვიქტორ მარგველაშვილი პ/ნ 01001024459
- თბილისი გლდანი III მ/რ კორ. 1 ბ. 98

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

1. საპროექტო ტერიტორიას ზოგად საცხოვრებელ ზონასთან ერთად ედება შიდა კვარტალური გამწვანება, სადაც ღობეს ვერ განათავსებთ. საჭიროა ღობის განთავსება მოხდეს იმ ტერიტორიაზე სადაც შიდა გამწვენაბ არ ედება (იხ. Tas.ge-ს ინტერაქტიული რუკა ფუნქციური ზონების ფენა).
2. ნაკვეთზე ფიქსირდება წყალმომარაგების ძირითადი ქსელი. საჭიროა წარმოადგინოთ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

3. ნაკვეთზე ასევე ფიქსირდება გაზსადენის შეზღუდვა, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ შპს "თბილისი ენერჯი"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

4. ამასთანავე ნაკვეთზე ფიქსირდება საკომუნიკაციო ნაგებობა (საკ. კოდით #01.00.036), მესაკუთრე შპს "ახალი ქსელები". საჭიროა წარმოადგინოთ შპს "ახალი ქსელები"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

5. ნაკვეთზე ფიქსირდება ელექტროგადამცემი ხაზი (საკ. კოდით #72.00.614 და #72.00.615), მესაკუთრე სააქციო საზოგადოება "ენერგო პრო ჯორჯია". წარმოსადგენია სააქციო საზოგადოება "ენერგო პრო ჯორჯია"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

6. ნაკვეთზე ფიქსირდება ელექტროგადამცემი ხაზი (საკ. კოდით #72.00.317), მესაკუთრე სააქციო საზოგადოება "თელასი". წარმოსადგენია სააქციო საზოგადოება "თელასი"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

7. წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი ვადაში მყოფი მინდობილობა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.